მოწვევა წინასწარ კვალიფიკაციაზე/ინტერესის გამოხატვა

კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება გარემოსა და ტურიზმის გაუმჯობესების მიზნით – იმერეთის რეგიონი: კონტრაქტი IM-2/Y1: ვანი, ბაღდათი, საირმე	**წარდგენის ბოლო ვადა 27.04 2023 15:00 საქართველოს დროით**

ქვეყანა: **საქართველო**

Ref-No: **IM-2/Y1**

KfW შესყიდვის ნომერი: **509405**

პროექტის განმახორციელებელი ორგანო (PEA): საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია (UWSCG)

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ, საქართველოს მთავრობის მეშვეობით, რომელიც წარმოდგენილია ფინანსთა სამინისტროს (ფინანსთა სამინისტროს) სახით, მოიპოვა დაფინანსება KfW-გან სესხის სახითა და ადგილობრივი თანხებით. თანხის ნაწილი განკუთვნილია ვანში, ბაღდათსა და საირმეში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების სამშენებლო ხელშეკრულებისათვის.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია მიზნად ისახავს კონტრაქტორების წინასწარ კვალიფიკაციას კონტრაქტისთვის No. IM-2/Y1, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ სამუშაოებს (შენიშვნა: ქვემოთ წარმოდგენილი ჩამონათვალი არ არის საბოლოო):

ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობა - ვანი
- სიმძლავრე: 3000 $მ^3$/დღეში
- პირველადი გაწმენდა კომპაქტური წვრილი ცხაურითა და ცხიმისა და ქვიშის დამჭერით
- წყლის გაწმენდა: ოქსიდაციის სისტემა და ერთდროული დენიტრიფიკაცია
- ლამის გაწმენდა: სტატიკური გასქელება და გამწვანებული საშრობი მოედნები

ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობა - ბაღდათი
- სიმძლავრე: 3500 $მ^3$/დღეში
- პირველადი გაწმენდა კომპაქტური წვრილი ცხაურითა და ცხიმისა და ქვიშის დამჭერით
- წყლის გაწმენდა: ოქსიდაციის სისტემა და ერთდროული დენიტრიფიკაცია
- ლამის გაწმენდა: სტატიკური გასქელება და გამწვანებული საშრობი მოედნები

ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობა - საირმე
- სიმძლავრე: 600 $მ^3$/დღეში
- პირველადი გაწმენდა კომპაქტური წვრილი ცხაურითა და ცხიმისა და ქვიშის დამჭერით
- წყლის გაწმენდა: MBBR-IFAS სისტემა

- ლამის გაწმენდა: ლამის გამოშრობა/გაუწყლოვება

წყლის გამწმენდი ნაგებობა - ბაღდათი
- სიმძლავრე: 1690მ3/დღეში
- წყლის გაწმენდა: არსებული ღია ქვიშის ფილტრის რეაბილიტაცია ან
- წყლის ახალი გამწმენდი ნაგებობის პროექტირება და მშენებლობა, სიმღვრივის მაღალი ფლუქტუაციის (ცვალებადობის) გათვალისწინებით.
- რეკომენდირებული პროცესი: ფლოკულაცია/დალექვა და ქვიშის ფილტრაცია ერთ კომპაქტურ დანადგარში.
- დეზინფექცია: Cl2-ით NaOCl ელექტროლიზისგან

წყლის გამწმენდი ნაგებობა - საირმე
- სიმძლავრე: 580მ3/დღეში
- ახალი გამწმენდი ნაგებობის პროექტირება და მშენებლობა არსებულ შენობაში, რომელიც ასევე საჭიროებს რეაბილიტაციას
- რეკომენდირებული პროცესი: ფლოკულაცია/დალექვა და ქვიშის ფილტრაცია ერთ კომპაქტურ დანადგარში.
- დეზინფექცია: Cl2-ით NaOCl ელექტროლიზისგან

ადგილობრივი სერვის ცენტრი - ვანი
- ახალი სერვის ცენტრის პროექტირება და მშენებლობა ოფისების, შეხვედრების ოთახის, ლაბორატორიის, სახელოსნოს, საცავის ჩათვლით და ა.შ.

ადგილობრივი სერვის ცენტრი - ბაღდათი
- ახალი სერვის ცენტრის პროექტირება და მშენებლობა ოფისების, შეხვედრების ოთახის, ლაბორატორიის, სახელოსნოს, საცავის ჩათვლით და ა.შ.

პროექტი და სამუშაოები სრულად უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ რეგულაციებს.

წინასწარი კვალიფიკაცია ჩატარდება წინაკვალიფიკაციის დოკუმენტში მითითებული პროცედურების მიხედვით და იქნება ხელმისაწვდომი ყველა უფლებამოსილი აპლიკანტისათვის, როგორც ეს განსაზღვრულია KfW-ის შესყიდვების სახელმძღვანელოში (www.kfw-entwicklungsbank.de), 2021 წლის იანვარის ვერსია.

სამუშაოების ტენდერი გამოცხადდება KfW-ს შესყიდვის სტანდარტული დოკუმენტების შესაბამისად. სამუშაო ხელშეკრულება დააკმაყოფილებს FIDIC-ის ნაგებობებისა და მშენებლობის სახელშეკრულებო რეგულაციებს („FIDIC ყვითელი წიგნი“), პირველი გამოცემა 1999 წ.

დაინტერესებულ უფლებამოსილ აპლიკანტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და წინასწარი საკვალიფიკაციო დოკუმენტების სრული პაკეტი ინგლისურ ენაზე, გადასახადის გარეშე, მითითებულ ელ-ფოსტაზე წერილობითი განაცხადის წარდგენის შემდეგ:

info.procurement@water.gov.ge

ყველა წერილი ასევე უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე (Cc):

e.piranishvili@water.gov.ge

აპლიკაციები წინასწარი კვალიფიკაციისათვის გაგზავნილ უნდა იქნას გარკვევით მარკირებულ კონვერტებში ქვემოთ მითითებულ მისამართზე:

საქართველოს დროით 15:00 საათზე , 2023 წლის 27 აპრილს

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია (UWSCG)
ყურადღება: UWSCG-ის დირექტორის მოადგილე ბ-ნი გუგა კაკაბაძე და საერთაშორისო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი ეთერი ფირანიშვილი.

ანა პოლიტკოვსკაიას ქ. 5
0186 თბილისი,
საქართველო

დაგვიანებული განაცხადები უარყოფილი იქნება.